მთა რაა და ბარი რაა—  
ფანდური და დაირაა!

დიდო ლენინ! შენი დროშით  
ორივ თვალი გვიხელია.  
აყვავებულ სამშობლოში  
მთელი გულით გვილხენია.  
მზით აინთო ჩვენი ბედი,  
რომ ცხოვრება არ გვეძნელოს.  
ძმებო, თქვენთან ალავერდი:  
ვსვამ სამშობლოს სადლეგრძელოს!

## ბათუმიდან თბილისამდე

შუქურ ვარსკვლავს მოსავს ღამე,  
 ლიბრად მოჩანს თოვლი მთაზე,  
 ვით მელიას მოსასხამი,  
 გაფენილა ბინდი ცაზე.

ამ სვლას ფრენას აღარებენ,  
 ყრის ნაპერწყალს ბოლი ცამდე,  
 ჩვენ მოვყვებით მატარებელს  
 ბათუმიდან თბილისამდე.

მოვყვებით და სანამ მთები  
 ბარს სხივებით შემოსავდნენ,  
 —რით მოდიხართ, რა გაქვთ, რა გაქვთ?  
 რით მოდიხართ, რა გაქვთ, რა გაქვთ?—  
 მოგრიალე რკინის თვლები  
 მოგვძახიან ჩამოსვლამდე. —

რა გვაქვს?  
 მზით და სიმღერებით



მთა სავსე და ბარი სავსე,  
ლალი შრომის სიხარული  
ყოველ ცვრიან გარიერაჟზე.

სიტყვა ძმური,  
საქმე ძმური,  
მზის სიცილი ზღვისფერ ცაზე,  
ქარხანა და ელსადგური  
მოგუგუნე უწყვეტ ცვლაზე.

რა გვაქვს?  
ციცქა და ჩხავერი,  
ნარინჯები ხვავით სავსე.  
ცხრა მთის კალთა  
და ცხრა ველი  
ჩაის მწვანე ხალიჩაზე.

ოქრო, ვერცხლი,  
მტრისთვის ცეცხლი,  
მარანი და კალო სავსე,  
რაც ოდესმე გვინატრია  
საახალწლო გალოცვაზე.

ნახატი და წიგნი მოგვაქვს,  
ყვავილების ფერით სავსე,  
ხელოვანთა სიტყვა მოგვაქვს,  
მისი შნო და სილამაზე.



იმ თასებით ლექსი მოგვაქვს,  
რითაც წინათ ნაღველს სვამდნენ,  
პირნათელი ქალი მოგვყავს,  
წინათ ჩადრით რომ მოსავდნენ.

მოგვაქვს დიდი აღტაცება,  
აღმაფრენა მეცხრე ცამდე.  
რაც არასდროს არ ყოფილა  
საბჭოთა მზის ამოსვლამდე.

ჩვენ სალამი მოგვაქვს წრფელი  
და მაღლობით გული საესე.  
რომ პარტიის ზრუნვამ მოგვცა  
ნათელ დღეთა სიკისკასე.

რომ ოქტომბრის მზეა დიდი  
ჩვენს კრიალა ქართულ ცაზე,  
რომ აჭარაც მტკიცედ მიდის  
კომუნიზმის ფართო გზაზე.

## პუშკინის სურათთან

ვდგავარ, შენს ნათელ სახეს ვუცქერი.  
 რას შეგადარო, რანაირ მუხას?  
 რა სიტყვა გქონდა მარად უცვლელი,  
 ცეცხლი გქონდა თუ წიგნის ფურცელი,  
 საუკუნე რომ გადაიქცა!

ტყვია გესროლეს ფხამოწამლული,  
 რომ ღამის ცაზე ჩაექროთ ხომლი.  
 მახსოვს ილია და წიწამური! —  
 მეხიც მაღალ ხეს დაეძებს ხოლმე!

მაგრამ ჯალათი მეფე ვერ მიხვდა,  
 რომ ამაოა შხამი და გესლი,  
 რომ მაღალი ხის ფესვებს ვერ მოთხრი—  
 დიდ ხეს მიწაში დიდი აქვს ფესვი!

ახლა შენს ლექსებს დავესესხებით,  
 კაცო, მარადის დაუვიწყარო.  
 ხალხში ცოცხლობენ შენი ლექსები,



როგორც მიწაში მუხის ფესვები,  
როგორც სიმღერის უშრეტი წყარო!

და როცა ნათელ სახეს ვუცქერი,  
რას შეგადარო, რანთირ მუხას?  
რა სიტყვა გქონდა მარად უცვლელი,  
ცეცხლი გქონდა თუ წიგნის ფურცელი,  
საუკუნე რომ გადაიქუხა!

## 3 1 7 1 6

ხევში ნისლი ჩაწვა ზვავად.  
 მზემ იშიშვლა დაშნა,  
 მთა წამოდგა ვაჟასავით  
 თუ მთასავით ვაჟა,  
 ჩანჩქერები ტაშს უკრავენ —  
 ტაშია და ვაშა.  
 ზარზეიმობს მთა და ბარად  
 დევა, ღვია, ნუკრი,  
 ცას უცინის ტანკენარა  
 ხმელი წიფლის დუყიც...  
 შენი ძალა ფშავს კი არა,  
 მთელ მსოფლიოს უკვირს.  
 რა განგებამ მოგავლინა  
 დევკაცური ხმისა,  
 მოგიქარგა ჯადოსნური  
 ხურჯინი და ქისა,  
 შიგ ჩაგიწყო მარგალიტა  
 ვაჟაური თქმისა!  
 დაილოცოს მთის ჩარგალი —  
 ქართლის თბილი მიწა,



ଫାଇଲାପୁରୀ ଓ ଅଜାନୀ -

ମିଥ ହନ୍ତ ବାଜା ଠିକା,  
ଓ ଫିକରି ଲା ଓ ନାଟକାମି,  
ଫେୟନିଲେ ଗୁଲ୍ଲେ ହନ୍ତ ମିଥିଲା!  
ଫାଇଲାପୁରୀ ସାହିତ୍ୟଲୋକ  
ମଧ୍ୟେ ଲା ପା କାଶାଶା,  
ଶେନ୍ଦୀ କଥିଲେ ଲା ଶେନ୍ଦୀ ଫରତେଶିଲୀ  
ଏହିବୁଲ୍ଲୀ ଗାନ୍ଧା!  
ଶେନ୍ଦୀ ଲ୍ଯାଙ୍କିଲୀ ଶେମାରତେଶିଲୀ  
ଲିଙ୍ଗିଶା ଲା ବାନ୍ଦା!

## გალაკტიონის გარდაცვალებაზე

თითქოს ეპოქას შეექრა სუნთქვა,  
 ეს რა სიკვდილი შემოგვესია!  
 ვაგლახ, დაიჭრა ქართული სიტყვა,  
 ქართული წიგნი და პოეზია!

ფრთა შეეკვეცა მოსხლეტილ მერანს,  
 ლურჯა ცხენების გაწყდა საღავე.  
 სადღაა რითმის ზღაპრული უღერა,  
 სიტყვის მოქნევა და სისაღავე!

სადღაა ლექსის ჭანი და მუხლი,  
 ჭერედ მიუვალ მთებზე თქარუნი,  
 ლექსი ზღვა-ლექსი, ულევი, უხვი,  
 ლელვა, ლულუნი და სიხარული!

ხალხი ტირის და მყინვარი კვნესის,  
 მზესაც კი წამით წაერთვა ეშხი,  
 ეს ცხელი გული,  
 ეს წრფელი ლექსი  
 როგორ ჩავუშვათ ცივ სამარეში?

## გიორგი ლეონიძეს

ეს რა ვულკანი გუგუნებს,  
 ლავაა თუ ნაღვერდალი,  
 თუ ცხენებს მოათქარუნებს  
 ასიათასი მხედარი!

არა! ეს ლექსის დელგმაა,  
 ხერგად მომსკდარი პწყარები —  
 ვერ დატეულა პოეტში,  
 მოხეთქა გულის კარები.

ეს შენ ხარ, ლეონიძეო,  
 ეს შენი ხმაა ულევი,  
 შენი ბალნარი სამშობლოს,  
 მისი მზის ნაერთგულევი.

ეს შენ ხარ, ლეონიძეო,  
 ჯადო სიტყვით და თაკარით,  
 ლექსის თქმის საგუშაგოზე  
 კალმის მახვილით დამდგარი,  
 ქართველი ერის სვე-ბედით  
 მოხიბლული და დამტკბარი.



შენ მარცვალ-მარცვალ დაეძებ  
 ქართლის გაფანტულ დიდებას,  
 ათას წლებში რომ გაუძლო  
 უანგის და ცეცხლის კიდებას.

ეძებ და მზეში გამოგაქვს,  
 აწყობ და აწყობ ძეგლებად,  
 რაღგან წარსული თუ არ გაქვს,  
 არც მომავალი გექნება.

ეს მხარეც — ჩვენი აჭარა  
 ჩვენი დიდების ძეგლია,  
 ის ვაჟკაცურად გადარჩა  
 სამას წამებას ეკლიანს.  
 მხოლოდ მესხეთს თუ შეეძლო  
 იმ ბნელში გზა გაეკვლია!  
 დღეს ყველა დილა ლხინის და  
 სიცილის ინარეკლია...  
 აქ შენს მადლიან სიმღერას  
 ზარივით დაურეკია!

ანკი, სად არ ქუხს სიმღერა —  
 ლექსი საქვეყნოდ ქებული!  
 მოხიბლა ვოლგაც, საპარაც,  
 მთები თხემაქაფებული.



ଏହି କି, ଲୋକିରୁ ମତରୁ ଗାନ୍ଧାଳମ୍ବ,  
ଜାରି ରନ୍ଧର ଦାକ୍ଷିଣ୍ୟରୁ ନାଚାରି,  
ରୂପେଶ ସାମଗ୍ରୀରୁ ଖଲ୍ବରୁ ମନ୍ଦିରରୁଥିବା  
ଶେବେନୀ ଲ୍ଯୁଫ୍ସେବିରୁ ଖଲ୍ବାପ ଆରି.  
ରା କ୍ରିଯାବିନୀ ଶେବେନୀ ପିତ୍ରକାରୀବି,  
କାଳମାତ୍ରର ଗାନ୍ଧିଜୀତ ପିତ୍ରପାନୀ,  
ମହାତ୍ମେବ, ରନ୍ଧରରୁ କାରୀବି,  
ଜୀବରାମ ଖଲ୍ବାଶାଙ୍କିତ ଲକ୍ଷମା ଆରି,  
ଶେବେନୀ କ୍ଷେତ୍ରବିନୀରୁ ବାଜାର,  
ଦୂରଲୀରୁ ରା ପାଶିକ୍ଷେତ୍ରାପ ଆରି,  
ମନ୍ଦିରବିନୀ ପିତ୍ରକାରୀବି କାନ୍ଦାରିତ  
ଲୋପାର୍ଥିତେଲି ପାପ ଆରି,  
ରାତ୍ରି ପ୍ରବାହିରୁ କୁରିପକ୍ଷାଲିତ  
ଦୂରିରୁ ରା ଲାମିରୁ ପାପାପ ଆରି.  
ମାର୍ଗାଦ ପୁତ୍ରକୀ, ପୁରୁଷରାଲି  
ଶେବେନୀ ଗନ୍ଧାଳ ରା କମାପ ଆରି...

ନିମନ୍ତେରେ, କାଳାଵାପ ନିମନ୍ତେରେ  
ଏହି ମନ୍ଦିରିରୁ ରା ଏହି ପିଲାର,  
ଶାକାଲକେ ଉତ୍ତରାଶ ସାମନ୍ଦରିଲାରୁ —  
ନିମନ୍ତେରା ଶେବେନୀ କାଲକିରୁ,  
ପିନ୍ଦ ଗନ୍ଧାଳାତି ଗମନବା ରା  
ଦୀର୍ଘକୌତୁକବାପ ଗାନ୍ଧାଳିରୁ!

## გიორგი აშჩიშვილს

როცა უმთვარო ღამეს ჩვარივით  
 ჩახვევ-ჩაკეცავს ხევებში ქარი,  
 თითქოს ცხადია — თვალწინ ჩაივლის:  
 ღამე. ქარბუქი. ობილისი. მტკვარი...

ნაპირს მოსწყდება დაუცხრომელი,  
 ცით საუკუნის უთქმელი სევდა,  
 განაწამები დუხჭირ ცხოვრებით —  
 ორი პოეტის მშობელი დედა...

და როგორც მეხი, როგორც გრიგალი,  
 როგორც იმედი მზიან ხვალისა,  
 ქარში გაისმის:  
 „მე პოეტი ვარ...  
 მე მორბედი ვარ  
 მომავალი ქარიშხალისა“.

...შემდეგ არც ყინვა და არც ზამთარი,  
 არც ლრუბელი და ქარბუქის მარში,



დარისით მზე არის ცაჲე ცხრათვალი,  
ღამით ვარსკვლავნი ცვივიან მტკვარში,

აყვავებულა მიწა ქართული,  
ქარში გამქრალა წარსულის დარღიც,  
და ქუჩიშვილი ჩანგმომართული  
მზიან ქუჩებში სიმღერით დადის!

## კოტე მარჯანიშვილს

წასვლა არ არის კიდევ გათიშვა,  
ეს ყველამ იცის უვიცის გარდა.  
შენით იწყება დღესაც აფიშა,  
შენით ირწევა ხავერდის ფარდა.

შენი ცეცხლია ყველა სახეში,  
და შენი ცეცხლი გვაღელვებს ახლაც.  
ყველა გმირს შენი სითბო და ეშხი,  
შენი მადლი და ღიმილი ახლავს.

შავი სიკვდილი შენთან ვერ მოვა,  
ცოცხალი ხარ და იქნები მუდამ:  
სიკვდილი ვერ კლავს ნამდვილ ხელოვანს,  
ასი ცელითაც მოვიდეს თუნდა.

მუდამ იცოცხლებს სწრაფვა თამამი  
და შენი სუნთქვით გამთბარი სცენა.  
შენი ღვაწლი და შენი ამაგი  
ნათელ მომავალს გადაეცემა,  
და ხელოვნებას კვლავ ეახლება  
შნო-ჯავარივით და ზარნიშივით  
მარად უჭირნობი დიდი სახელი —  
სახელი კოტე მარჯანიშვილის.

## 0ლია სიხაჩულიძეს

ეს, მძიმე იყო ჩვენი ბავშვობა  
და არც სიამე მოგვკარებია,  
არც პიონერთა პარკში გვივლია,  
არც ყელსახვევი გვიტარებია...  
ანდა ძველი დრო ახლანდელ დროსთან  
რა საოქმელი და საღარებია!

გახსოვს? ხონი და სემინარია,  
ანცი და ცელქი ყმაწვილკაცობა,  
საწულუკიძოს კომში, მაჭარი,  
პირშებურული კოხტა ქალები,  
ვარასკევი და ხონის ბაზრობა,  
მუნჯურ მეთოდის შავი რეჟიმი.  
ნიჭის ფურჩქვნა და ნიჭის დაზრობა,  
წყეული დროის, დუხშირი დროის  
მწარე  
და მაინც ახალგაზრდობა!

ჩვენ სიბერეში გვხვდა სიჭაბუკე  
და ასპარეზი დაუდალველი.



დღეს სიხარული ვნახეთ იმდენი,  
 რამდენიც წინათ გვქონდა ნაღველი,  
 დღეს ხმა არ გქონდეს — მაინც იმღერებ,  
 ისე ბევრია ახლა სამღერი.

და ჩვენც ვიმღეროთ ლექსი მართალი,  
 გვეყო, რაც წინათ გვიღარდებია.  
 ნუ შეგვაშინებს ყურთან სითეთრე, —  
 ეს წელთა ფიცქი და ვარდებია.  
 ჩვენი ეპოქის სიმხურვალეში —  
 თვით მოხუცებიც არ ბერდებიან!

## აქაკის ძეგლი მოგზლეთში

მზე ყოველდღე ჩაქვისთავში  
გაშლის ცეცხლის დალალებს,  
ჩანჩქერების ფრთიან ჭავლში  
ჩაყრის ოქროს და ლალებს.

გაიხსნება შუბლი მთისა  
ფართოდ, განა ვიწროდა,  
სწორედ ისე, ლექსის თქმისას  
აკაკიმ რომ იცოდა.

გაიღიმებს გარიყრაჟი  
დღის სინათლის მომფენი,  
ამწვანებულ მთა და ბარში  
ამლერდება სოფელი.

თვით აკაკიც თვალს გაახელს  
ქვაში გამოკვეთილი,

ପୁଣ୍ୟଦିନରେ ଓଦା-ଶାଶ୍ଵତରେ,  
ଖର୍ବଗରୁ ମାତା କୃତିଲୋ,

ଓ ତାଙ୍କିରେ ପାଦରେ ପାଦରେ  
-- ଶାୟବାର୍ହେଲା ମନ୍ଦିର,  
ହେବନ୍ଦି ପରିବାର ପରିବାର  
ଫଳତୁମ୍ଭି ଓ ପାଦରେ!

## გარსევან პავშავაძე

დიდ რუსეთში მოკლე იყო საუბარი:  
 — სულ ომია, ბრძოლით ხალხი ნადგურდება.  
 ჩვენ ძმა გვინდა, მშველელი და მეგობარი,  
 თორემ ჩვენს ხმალს  
 რ სჩვევია გამრუდება...

წამოსულა სიხარულით ავსებული,  
 და ისინი გაიყარნენ, როგორც ძმები,  
 თან ჰქონია იმდებით სავსე გული  
 და უსტარი სიყვარულით ნაბორები.

და როდესაც ერეკლესთან შემოსულ  
 შორი გზით და იმდენი ხნის ნატარები.  
 იმედით და სასოებით შემოსილან  
 ჩვენი ქვეყნის დიდები და პატარები...

და ეს უთქვამთ:  
 — ჭავჭავაძეს თერგი უსვამს,  
 მთას გადაღმა ძმა უძმია საიმედო!  
 ახლა ხმალი გადაუტყდა ყველა ღუშმანს,  
 მათ დღვიძან ვერაგობა ვერ გაბედონ!

## მოდიან, შვილო, ჯარისძაცხი

მოდიან, შვილო, ჯარისკაცები.  
 ღრმშები მოაქვთ, ხალისი მოაქვთ.  
 ზეიმით ვხვდებით და აღტაცებით...  
 შენ კი რას უცდი? სადა ხარ? დროა!

წლებია უკვე — წერილი არ ჩანს,  
 დანალვლიანდა ეზო და ბინა,  
 და ჩვეულებად როგორლაც დამრჩა  
 ძალუნებური ოხვრა და გმინვა:  
 ამდენი ხანი და უშენობა  
 წუთითაც კი ვერ წარმომედგინა!

რვა და ცხრა მაისს არ ჰყოფდა ღამე,  
 ლხენით ვისმენდი სანატრელ ამბავს.  
 რომ ბარემ შენიც გამეგო რამე,  
 ქუჩაში ასჯერ გავედი ალბათ.  
 ჩვენ ვზეიმობდით დიდ გამარჯვებას,  
 ლაუგარდს სალუტი სერავდა ხშირი.  
 ზღვარი არ ჰქონდა ზეიმს და შვებას,  
 მაგრამ სიხარულს თან ახლდა ჩრდილი:



უფრო ვიგრძენი მე უშენობა  
და მაშინ უფრო მომინდა შვილი!

ვეღარ გავძელი ქუჩაში, სახლში,  
ვეღარ გავძელი, მართალი გითხრა.  
და, როცა გარეთ მღეროდნენ, მაშინ  
შენ ძველ ბარათებს დავუწყე კითხვა.

გადავიკითხე, ასე განსაჯე,  
მთრთოლვარე ხელით შეკრული დასტა,  
და წავიკითხე — როგორც ათასჯერ —  
დედაშენთან და ორივე დასთან:  
მათაც ჩემსავით წვავთ უშენობა.  
არ ვიცი, ასე სანამდი გასტანს.

ვსხედვართ, ვიგონებთ შენს გაცილებას.  
ვაჭედილ სადგურს, ორთქლმავლის ქშენას.  
მორჩენ გაწვეულთ განაწილებას,  
ერთ ოცეულში ჩამდგარხარ შენაც.

ტოლ-მეგობრები, ხვევნა და კოცა.  
გეხვევით ყველა, გეხვევა დედა.  
სვეტთან დგას ერთი გოგონა მორცხვალ.  
უჩუმარ ცრემლებს დაუხშავს ხედვა...  
ალბათ, შენ სიხოვე არ მოსულიყო.  
გამოთხოვების არ ეგრძნო სევდა.

მეორე ზარი — შენაც წახვედი,  
გულში კი მძიმე ჭიდილი გაჩნდა:



ଇହାତୁ ମିନଦୋଦୀ, ଏହାତୁ ମିନଦୋଦୀ,  
ଧରିଲାଙ୍କ ଶୈଖରତରେ ଏହି ନାନ୍ଦୁଳା.

ଦା ରହୁଥା ସାବଲିର କାରି ଶୈତାଣ୍ୟ,  
ଗାନ୍ଧିରା ହାତ ଦାରିଦ୍ର ମଜୁନ୍ଦିର ଚିନାତ,  
ଶୁଲ୍ଲଶି ହାମଦିଗା ଲେଖା ସିଦମାୟେ:  
ମିତ୍ରକାରୀର ମେହିକେନା ଗୁଣ ଦା ଧିନା  
ଦା ଶ୍ଵାଲିର ସାବଲିଶି, କାରିର କାର୍ଯ୍ୟରେ  
ଚିନ୍ତିତିତାତୁ ବେଳାର ଚାରମନ୍ଦେଇଗିନା.

ଫେରା ଗୁଣଦା ଗୁଲିର କାନ୍ଦାଳିତ,  
ଶେନି ଅବାନ୍ତି ଦାଗିଦିଗା ବେଲାର,  
ଶୁଲ୍ଲ ଗିରନ୍ତେବଦା କେଲିଶି ଅବାନ୍ତିଲ୍ଲ,  
ନାତିରନ୍ତିଦା — କାରିଶି ତାରାଖିତ କନାନ୍ତିଲ୍ଲ.

ଦା ପ୍ରେଲାଭେରି ଗାନ୍ଧା କ୍ଷେତ୍ରତାଳି,  
ରାଶାତ କି ଶେନି ଉଗରନ୍ତିର ତିତି  
ଶେନି ଶୁରାତି, ଚିଗନି ତୁ ତାଲି,  
ଶେନି ମାଗିଦିଲ ପ୍ରେଲାଭେରି ନିତି...  
ଫଲେଦାଳାମ କିରିଛେ ପ୍ରେକ୍ଷାରା ପ୍ରେଲାଳ  
ଶେନି ସାବେଲି ଦା ମାଗାଲିତି.

...ଦା ମେରେ ନମି ଗ୍ରହନ୍ତି ତୁମ୍ଭେଲି.  
ମେହିପି ସମ୍ଭାବେଦି ଦା କାଲାକ୍ଷେତ୍ର ଲ୍ଲେଖିଦା,  
ମନ୍ଦିରକୁଳି କିନାରାମ ମିଳିବୁଦା ମତିରିଲ କେଲି.  
ଶେନ୍ତ ନିରଦେଶି ଦା... ଚିତ୍ରିଲି ଶେଷ୍ୟଦା!

ଶେଷ୍ୟଦା ଚିତ୍ରିଲି! ଦା ଏହି ରାତ ନିଶ୍ଚାନ୍ତ,  
ଶେରାନି ମିଳିବୁଦା ମନ୍ଦିରକୁଳି ଗାନ୍ଧା!



გულწე უძრავი ლოდი დაეშვა,  
 თითქოს სიცოცხლეს დაეშვა ფარდა.  
 მწუხრი დაეშვა. და უშენობა  
 რაღაც სულიერ უდაბნოს გავდა!

სამშობლო მიყვარს და თავდადება  
 სასახელოა სამშობლოს ხსნისთვის!  
 მაგრამ სიკვდილი ხომ დაგნანდება,  
 შვილიც ნაწილი არის ხომ მისი!  
 და ნაღვლად გვეჭცა ჩვენ უშენობა,  
 შენი უმანკო დაღვრილი სისხლი!

აქლა ეს დამრჩა საფიქრ-საღარდო:  
 როგორ უჩვენე მტერს ვაუკაცობა?  
 ჩელთ თუ ჩაგიგდეს, მაშინ სანამდე  
 ზიდე მხეცური შეურაცხყოფა?

ბრძოლის წინ დედა ხომ არ ინატრე,  
 ან ცელქი დათ დაუდეგარი,  
 ან ჩვენი უბნის სხვა მობინადრე —  
 გოგო სადგურში ქურდულად მდგარი?

ხომ არ შეშინდი ცეცხლის წვიმაში,  
 სისხლის ზღვაში და ლითონის ღვარში?  
 ჩვენი მშობელი ქვეყნის წინაშე  
 ხომ პირნათელი იყავ და დარჩი?  
 რით ავიტანე მე უშენობა  
 და რატომ შენთან არ ვიყავ მაშინ!



...ჩვენ გამარჯვებას ვზეიმობთ ახლა  
და სიხარულის გაისმის ხმები.

მე კვლავ მომინდა ქუჩების ნახვა,  
ხალხის ზეიმი თავტრუდამხვევი.

მზე ოქროს ხელით აღებდა ცისკარს,  
ხომლი ხუჭავდა მიბნედილ თვალებს,  
უსაზღვრო ცაზე ქრებოდა ციცქნა,  
ირმის კვალივით გაკრული მთვარე.

ფიქრები ვძლიე და, როგორც იქნა,  
ისევ გულისხმას გავყევი გარეთ.

ვემთხვიე მიწას და ჩავეკარი,  
თითქოს წინ მეწვა ერთაი ვაჟი,  
ჩავძახე, როგორც ირემი ხარი  
მიწას სისხლიანს ჩაბლავლებს მთაში:

— დედაო მიწავ! სამშობლო-დედავ!  
ჩაუქრობელო სინათლევ თვალთა!  
მარადის გენთოს კაშკაშა მზე და  
ჰყვაოდეს შენი ნათელი კალთა!

დედა იყავ და ახლა შვილიც ხარ —  
მიწა მფარველი საყვარელ ძვალთა,  
და თუ გაბედოს მტერმა შერისხვა,  
მკერდით დაგიცავ, მიხმე და მზად ვარ!

თან ვიამაყებ, რომ ხმალით ხელში  
მეც მყავს დამცველი მშობელი მიწის,

რომ ჩემი ქვეყნის საკურთხეველში  
ჩემი პატარა პატრუქიც იწვის,

რომ ჩემი შვილის უნიშნო საფლავს  
მტერი ვერ მოთხრის, ვერ დაამცირებს,  
რომ სარდლის სიტყვა ნუგეშად მახლავს:  
— სამარადისო დიდება გმირებს!

## გმირი მფრინავი

ისრაფილ ჭინჭარაძეს

ნარინჯებში ჩადგა დარი,  
 დაცხრა წყარო მოჩუხჩუხე.  
 ღუმს ლეგენდის საბუდარი —  
 თამარის და პეტრის ციხე.

მახინჯაურს ნელი სიო  
 ჩასჩურჩულებს ზღაპარს ძილში —  
 ფრთხილად, რომ არ შეარხიოს  
 ტანწერწეტი კვიპარისი.

ძინავს სოფელს და ფარფატა  
 ნათელს აფრქვევს სავსე მოვარე,  
 ძინავს ყველას, მხოლოდ ფატმა  
 დგას ლანდივით ნაძვთან, გარეთ:

— სად ხარ, შვილო, დედისერთავ?  
 დარდის ცეცხლი მიკიდია.

ზღვაზე არ ხარ, არც ხმელეთზე,  
არც ცას ხელი გიკიდია... —

თქვა დედამ და უნებურად  
მოელი გულით დაიკვნესა,  
და ნუგეშად ჩვენებური,  
ტკბილქართული შემოესძა:

— შებმული ვარ ვერაგ მტერთან,  
რომ დავლეწო შავი ფრთები,  
და თუ მომკლეს დედისერთა.  
მაინც ცოცხლად ჩავითვლები.

ასეთია ჩვენი ხვედრი,  
ვაჟკაცის და გმირის ბედი.  
არ შეფიქრდე, არ შეწუხდე,  
არ იდარდო, ჩემო დედი!.. —

გატყდა ლამე, სიომ ფიჭვებს  
მთვარის შუქი გაუფანტა.  
დედის ფიქრებს, დედის იჭვებს  
ძლივს წაართვა თავი ფატმამ.

და გაირლვა კარიბჭეში,  
განთიადი გათამამდა,  
და რადიონ ნარინჯებში  
აკხადებდა გმირის ამბავს!



## ୬୦ ମେ ମୁହଁ

ଗମିତ କ୍ରମିକାଳ କ. ବିନ୍ଦୁରଙ୍ଗାନ୍ଧୀ

— ଶ୍ଵେତିଲା, ଶାର୍ଦ୍ଦା କାର୍ତ୍ତ, ଶିତିଲକ୍ଷ୍ମୀଏ,  
ରାତ୍ର ଗାମିକିନ୍ଦ୍ର ପାରା...  
ଯୁମଦାରୀ ମନ୍ଦିରକ୍ଷଦା, ମତ୍ରିରୀ ଆପକ୍ଷି,  
ତୁ ତୁମା ଗାନ୍ଧାରୀରା.

ବିପରୀତେ ମାନିବୁ ଶାତ୍ରାଜ୍ୟ,  
ଦେଖିବୁ ଶୁଣି ଶାତ୍ର ମାନିବୁ,  
ମନ୍ଦିର ଦା ନାନ୍ଦିବୁ ଫାଗିରଙ୍ଗାଜ,  
ତମିତେବୁ ଅଲ୍ଲାରୁଣୀତ ଫାନ୍ଦିବୁ.

ଫାଗିରଙ୍ଗାଜ ଶୁଣିବୁ କାନ୍ଦାଲିତ,  
ବନାବୀଜ ନାବମଲ୍ଲେଜେ ଦା ନାତ୍ୟବିରାଳଃ  
ନିଜେବ ମାରତଲା କାର୍ତ୍ତ ମନ୍ଦିରିଲ୍ଲି —  
କ୍ରିଲିଲିବା ଚୁରିଗଢି ଗାତ୍ୟବିଜ.

— ଦେଇବ, ପ୍ରେମଲାଦ ନୁ ଅଲ୍ଲାରେବି,  
ରାତ୍ର ଗିନ୍ଦା ବାବୁ ଦାବିଲି,  
ମେଦରମେଲିତା ପ୍ରେମଲି ମିଥ୍ୟବେଦି



და დროშა წუთით დახრილი.  
ნურც თმას გაიშლი ჭალარას,  
ნურც შავით დაიძაძები,  
ქარია ჩემი მოზარე  
და მკლავგაშლილი ნაძვები,  
ანდა გმირს როდი ტირიან,  
ვისა აქვს ამის უფლება.  
მილიონ შვილზე ძვირია  
სამშობლოს თავისუფლება!

## „მზეს არ ახსოვს”...

ალექსანდრე აბაშელის გარდაცვალებაზე

„მზეს არ ახსოვს შობის წამი,  
მზეს სიკვდილი არა სჯერა“.  
თქვი და ცაში აღიმართე  
მზის სხივების დასაჭერად.

ხალხის გულში ხმა იპოვნე,  
ლერწმის ლერში — მისი ულერა..  
და ეს ლექსის შადრევანი  
რა სიკვდილმა შეაჩერა!

„მზეს არ ახსოვს შობის წამი,  
მზეს სიკვდილი არა სჯერა“.  
შენ ღრუბლიან ღამეს ტეხდი  
ამ სტრიქონის დასაწერად.

შენმა სიტყვამ ჩვენი გული  
სასიცოცხლოდ აამლერა...  
რა სიკვდილმა შეაჩერა  
ლექსით სავსე გულის ძერა!

„მზეს არ ახსოვს შობის წამი,  
მზეს სიკვდილი არა სჯერა“.  
არც ლექსსა აქვს დასაბამი,  
არც შეწყდება მისი დენა.

რის სიკვდილი? მე არ მჯერა,  
ოუნდაც მითხრან ათასჯერა.  
ეს სიკვდილმა მოიგონა  
პოეზიის დასასჯელად!

## შავდავი ძმია ჩვენი

ვიცი, ბევრს უყვარს მშვიდობა,—  
ერთი ასეთი მეც ვარ,  
ოდერს ათასჯერ მერჩია  
ჭოროხის წყალი მესვა,  
მაგრამ ბრძოლაში დავყავა  
ოთხივე ხვნა და ოესვა,  
ხელში შაშხანა მეჭირა,  
ტანზე მაზარა მეცვა.

დავბრუნდი...  
შპრეეს ნაპირზე  
სამი დავტოვე ტოლი,  
ძმებივით ისე შეზრდილი,  
თითქოს ერთ ძუძუს ვწოვდით.  
რამდენი ერთად გვივლია  
წყალი, ყინვა და ოოვლი.  
რამდენი მთა და მდინარე  
გადაგვილახავს ბრძოლით?  
და იმ სამი ძმის ატირდა  
დედა, შვილი და ცოლი.

სამივეს თესვა უყვარდა —  
 ომში დაღუპულ სამ ძმას,  
 სამივეს მხოლოდ შრომა და  
 პატიოსნება წამდა,  
 სამშობლოს ცეცხლი უქრობი  
 და სიყვარული წვავდა...  
 რა დამავიწყებს სამ ვაჟკაცს —  
 ომში დაღუპულ სამ ძმას!

ვშრომობ და მუდამ თან მახლავ  
 სამი — სამშობლოს მცველი.  
 ვშრომობ და მუდამ თან მახლავ  
 უკვდავი ძმობა ჩვენი,  
 ვშრომობ და სახე ოფლით მაქვ...  
 ხან კი ცრემლებით სველი...  
 ვშრომობ და სამთა სახსოვრად  
 მათიც მე გამაქვს სვრელი!

## କୃତ୍ତବ୍ୟ, ସାମନ୍ତ ମହା ଲୋକାଳ୍ୟ

ସାମାଜିକ କମିଶ ଫୁରନ୍ଦିନ୍ଦ୍ରୀ ଗମିରୁଣ୍ଡାର  
ଦ୍ୱାରା ଲୋକ ଲୋକରେ ମହିନେ କମା କମା --  
ଗର୍ବାମିନ୍ଦିନ୍ଦ୍ରୀ, କର୍ମନ୍ତିନ୍ଦିନ୍ଦ୍ରୀ ଓ ବାଲକୁ ବ୍ୟାଲାବ୍ୟା-  
କିନ୍ଦ୍ରୀରେ.

କୃତ୍ତବ୍ୟ ଲୋକାଳ୍ୟ ସାମନ୍ତ କମା ବାରତ,  
ସାମନ୍ତ ବ୍ୟାଲାବ୍ୟାକିନ୍ଦ୍ରୀ.  
ମର୍ତ୍ତେଖି ବାୟରିଦିତ ତ୍ୟଗିବା କ୍ଷେତ୍ରାଦ.  
ନିକାଳିଲେ ଏହି ଧାର୍ଯ୍ୟରିଦିତ.

ମନ୍ଦିରକୁଳେ... ମାତ୍ରାମ କୃତ୍ତବ୍ୟ ଏହି ମନ୍ଦିରିଦିତ,  
କୃତ୍ତବ୍ୟ, ସାମନ୍ତ କମା ଲୋକାଳ୍ୟ,  
ଅଛିଲା କର୍ମକାଳୀନ ମନ୍ଦିରି ଫୁରନ୍ଦିନ୍ଦ୍ରୀ.  
ମର୍ତ୍ତେଖି ଗମିରୁଣ୍ଡାର କ୍ଷେତ୍ରିତ.

ଏହି କର୍ମକାଳୀନ କମାରେ  
ମର୍ତ୍ତେଖି କର୍ମକାଳୀନ କମାରେ,  
କୃତ୍ତବ୍ୟ ଗମିରୁଣ୍ଡାର କମାରେ,  
ଯିରିମିମି ଏହି କର୍ମକାଳୀନ.

## უკანასკნელი ბარათი

გერმანელმა ფაშისტმა დამპყრობლებმა  
 ხელთ ჩაიგდეს და დაწვეს დაჭრილი საბჭოთა  
 მეომარი ახმელ ვერულიძე

ნუ მკითხულობ და ნუ მეძებ,  
 საყვარელო დედიკონა.  
 მიწაში და მინდორ-ველზე  
 არ იფიქრო ჩემი პოვნა.  
 სანამ ვიყავ შენს თავს ვფიცავ  
 ბევრი ველიტე, ბევრი ვმუსრე.  
 მხარში ვედექ ძმა-ნაფიცად  
 უზბეკებს და ბელორუსებს.  
 მაგრამ სიკვდილს ვინ დაიჭერს!  
 და მეც მერგო შავი ჭერი:  
 მიხელთეს და გზა მომიჭრეს,  
 მესროლეს და დავიჭერი.  
 მერე დამწვეს... და ვაჟკაცი  
 ავიჭერი ცეცხლის ალად,  
 რომ მტრის ურდოს ძირს და ცაში  
 მოვდებოდი ქარიშხალად.

რომ მებრძოლებს წიგნღოლოდ  
 შურისგების უძლევ დროშად,  
 რომ ხალხს გულში ჩავდგომოდი  
 ზეიმის და შრომის დროსაც.

გადიყარე, დედი, სევდა,  
 არ იდარდო ჩემზე, დედი:  
 მე მახარებს ეს ღირსება,  
 რომ გმირული მერგო ბედი.

## ଓଡିଆ ମାନ୍ୟ

ପ୍ରକାଶ ମାନ୍ୟମା ପ୍ରକାଶତଥାଲ ମହେଶ  
କବଳାଙ୍ଗ ଫରନଶେବି ଗାନ୍ଧାଲା.  
କେବି କ୍ଷେତ୍ରକାଳି ବାରଶି, ମନେଶି  
ନୂରିଯାଲା ଗାନ୍ଧାମା!

ପା ଉଚିନ୍ଦିଲେ ସିଲୁରଖେଶି,  
ମିଥିଲା କିବଲାଙ୍ଗେ ମହେ ଦା ଗନ୍ଧି,  
ଗାନ୍ଧି ନାଥବନ୍ଦେ ଗ୍ରେନାକେଶି,  
ପ୍ରବାନ୍ଦ ପ୍ରବିଜା ବାଲାକେଶି,  
ଦା ମୁଖ୍ୟମିଳିଲେ ମୁଖ୍ୟତକ୍ଷାତ୍ର ଗୁଣଶି—  
ଗାମାରଖେବ୍ରାନ୍ତ କେମି ମାମୁଳଶି,  
ଗାନ୍ଧାର୍ତ୍ତକୁଳିଲେ କୁରାମୁଲଶି,  
ଶାର୍ଦ୍ଦାତ୍ର ପ୍ରକ୍ରମିଲେ ଗାମଶରାଲା, —  
ଶୁଣ ଲୁହିନି ଦା ଗାନ୍ଧାମା!

ମନମାର୍ଥିନ୍ଦ୍ରେତ ଶାଶ୍ଵତ ତାସି,  
ଲ୍ରବିନିତ ଶାଶ୍ଵତ ଭୋଗାଲା!  
ମେମମର୍କେବିଲେ ତ୍ରିତୁରବନ୍ଦା ମାତରବନ୍ଦି,  
ଅବା ଲ୍ରବିନି କି ଆରା!



ვადლეგრძელოთ, ვინც ზამთარშპლობრივი  
კარპატების ცივ კალთაში  
ხმალი აწრთო ცეცხლის ალში,  
ვინც სისხლიან ქარიშხალში  
მტერი ულიტა მის ბუნაგში,  
ვინც იბრძოლა რაიხსტაგში  
და მის თავზე ფხიანად  
დროშა ააფრიალა!

მომაწოდეთ თასი კიდევ,  
ლვინით სავსე რომ არი!  
ლხინი გვმართებს კიდით კიდე,  
ლხინი გაუგონარი!

მტრების რისხვით მეხდამცემი  
შინ მოსულან ვაჟკაცები,  
ბალებს ჩრყავენ გატაცებით —  
გაიხარონ შვილებმა!  
გაქრა დიდი განსაცდელი,  
მალე მოვლენ ვისაც ველით,  
და ჩვენი ცა ფერუცვლელი  
აღარ დაიჩრდილება!

ვერ მოვლენ და... ასწით თასი,  
ლვინით სავსე რომ არი:  
შევსვათ მათი სადლეგრძელო —  
არა შესანდობარი!



## ସତରା

### I

ନେହି କୁଳବାୟୁରୀ ଆଶରିବାଲ୍ଲେବୁ  
କୁଳବିଶକିରା ଧୂଲବାହୀ,  
ଶେନ ତୁଳେବୁ ଏଥି ମହିଳା,  
ମିଥିଲା ଦା ପିଲା ସିଲାମାହିତ.  
ଆଶାଲୀଗୁବୁ  
ଅଲିଶତ୍ରେରାଦ ହାମିଶିରିବେଦୁଲାନ  
ଦା ମାଗନ୍ଦିଲୀଗୁବୁ  
ପୁରାବିଲ୍ଲେବୁଲା ଲିମିଲା ଆହିତ.

ଶେନ ଗୁଲା ଗିବାର୍ଜୁବୁ ସାମବେର୍ଜୁଲା,  
ଲିରା ପିଲା କାଲତା  
ଦା କୁଳବିଶ ବାପେରାଦି ମନ୍ଦିରିବେ,  
ଗାଶିଲାଲି ଲୁହାଖାଦ,  
ଗଶିଲି ମନ୍ଦିରିବେଲା କାଲିବୁଲ୍ଲେବୁ  
ଶାପାପାରେମାନ ଫାଲତା  
ଦା ବିଶବେଶିତ ଗାତ୍ରପାରିପନିଲା  
ପରିବାଲା ଫୁହା.

ଶେନ କଲୀଗୁ ଗବୁଦ୍ଧାବୁ  
ମାରୁଦମିଶିବାନ୍ତ ମିଦାମନ ହିବେନି

და ზღვის ნაპირთან  
მიჯარული ზღვისფერი მთები.  
შენ ქერა სახეს  
მოწონების ღიმილი შვენის.  
როცა ქალს თუ ვაჟს  
მოფუსფუსე ქუჩებში ხვდები.

მაგრამ მე შეგხვდი...  
წამსვე შეკრთი.  
წარბები შეკარ...  
ხომ არ გენიშნა  
ჩემ სახეზე ძველი იარა?  
ხომ არ გაცოცხლდა  
ბრძოლის ველი,  
ბზურა და სოპკა,  
და მოგონებამ  
შეგაშფოთა, შეგაზრიალა?

იქნებ ერთმანეთს  
ომში შევხვდით ორი ყმაწვილი,  
როცა სამი თვის ბალლი იყო  
ცხრაას ოხუთმეტი:  
მე გაოგნებით  
მოვდიოდი ხმალამოწვდილი,  
შენ სანგრებიდან  
ნაღმს და დუმდუმს ათუხთუხებდი.

იქნებ ყურს ქვემოთ  
შენ გამავლე მოლურჯო ხაზი

და ხიშტი მკერდში  
მე გატაკე  
როგორც ურდული!  
— ეპ, რატომ? რისთვის? —  
სულს მიხუთავს ბოლმა და ბრაზი,  
როცა, მგონია, ყურთან წივის  
შენი დუმდუმი.

ბევრი სიცოცხლე  
ჩაიფერფლა და ჩაინისლა,  
რამდენს წილად ხვდა  
პროთეზები და ყავარჯენი!  
რამდენს ხსოვნაში  
ისე დარჩა ბზურა და ვისლა,  
როგორც ჩვენ დაგვრჩა  
ჭრილობები — შენი და ჩემი!

ქვეყანა მორჩა  
ნაბრძოლი და გაუტეხელი,  
ჩვენაც მოგვირჩა  
ის ნახმლევი და ნატყვიარი.  
მაგრამ როდესაც  
ნაიარევს მოსინჯავს ხელი,  
გულში ტკივილი  
შემომიტევს ოხერ-ტიალი.

ჩვენ, სალდათებმა,  
რა ვიცოდით — ვისთან და ვისკენ!

ახლა სხვა ღრმა.  
 უტყუარად ქვეყანაშ იცის,  
 თუ რად „უყვარდათ“  
 ხელმწიფეს და კაიზერს ქრისტე,  
 გულს როგორ „სწვავდათ“  
 სარაევოს მოკლული პრინცი!  
 და ისიც კიცით,  
 თავს ჭალათი რად დაგვყიოდა:  
 — დაჰკათ! მოკალით! —  
 ვიომებდით მართლა ბოლომდე,  
 რომ ხალხს ლენინი  
 და პარტია არა ჰყოლოდა,  
 რომ ლენინის გზას,  
 სიმართლის გზას არ გავყოლოდით!

## II

ომიდან მოველ,  
 ჩემმა გოგომ არ დამივიწყა,  
 ალერსით მითხრა  
 განაწამებს და გადარჩენილს:  
 — ეს რა დალია,  
 როცა გლოცავს მშობელი მიწა!  
 ქალს ხალი შვენის,  
 მეომარს კი ნახმლევი შვენის!  
 (ასე კარგი და კეთილია მეუღლე ჩემი!)

ნატვრა აგვიხდა:  
 ჩვენს სახელზე ფიცრული ჩანდა.

შიწით და შრომით  
გლეხეაცურად ვიჭერეთ გული.  
თანაც მზად გვქონდა  
შაშხანა და საველე ჩანთა —  
საბჭოს ვიცავდით  
საბჭოებზე შეუვარებულნი.

მალე ოჯახი  
კიდევ უფრო აივსო შვებით...  
(ვაიმე, შვილო,  
შენზე სიტყვა მტანჯავს და მიჰირს!)  
თუ გულს აქამდე მიხარებდნენ  
სხვისი ბავშვები,  
ახლა მეც მყავდა  
თავქოჩორა პატარა ბიჭი!

შვილი — მემკვიდრე,  
ჩემი გზის და კვალის განმგრძობი...  
ვის არ ახარებს,  
სიამაყით ვის გულს არ ავსებს!  
და ჩვენც ვიხარეთ  
უსასრულო,  
მშობლური გრძნობით,  
ჩვენ ფრთაშესხმული  
დავთრინავდით ოცნების ცაზე.

დღეებს ვითვლიდით.  
ო, პირველი ფორთხვა და გავლა!



მზეს ვადარებდით გაღიმებას,  
თვალებს — ვარსკვლავებს.

ლამის გავგიუდით, •

ორი სიტყვა როცა ისწავლა,

უკვე აკვანში ვუზომავდით  
ბეჭებს და მკლავებს.

მერე სკოლა და სიჭაბუკე  
ვარდობის წლები;

გულში რომ ჩიტი დაიბუდებს.

ვარდი და ია,

როცა ოცნების

რაშს მიაფრენ თავდავიწყებით,

ცა ჭუდია და

დედამიწა ქალამანია.

მაგრამ იჭექა,

მიწა შესძრა ავმა გრიალმა

და მოიკუპრა სხივნათელი,

მზიანი დილა.

სისხლისღვრა იყო.

ჩვენ რომ ვნახეთ ისე კი არა.

მტერი აროდეს

ჩვენს შემუსვრას ასე არ ცდილა.

ჩემ შვილს ეძინა,

როცა ომის ხმები მოისმა.

ცერ-ცერად მიველ,

დავიხარე  
უბადლო განძთან.  
უცელა მშობელი  
მშობელია პირველყოვლისა  
და, რა თქმა უნდა,  
არ იძრახვის მშობლური განცდა.

დედის თვალებზე  
მწუხარების ცრემლი არ შრება,  
და ვერც მის სიტყვებს  
უსაფუძვლოდ ვერავინ ჩათვლის:  
— მე შვილისათვის მიყვარს სამშობლო,  
მე შვილი მიყვარს სამშობლოსათვის!

ძლივს ეს უთხრა და...  
ჩვენი ვაჟი წავიდა ომში.  
ის იქ იბრძოდა,  
ჩვენ ზურგიდან შრომით ვშველოდით.  
დავიღუბოდით —  
არ გვებრძოლა ლენინის დროშით,  
პარტიის დროშას,  
წითელ დროშას არ გავყოლოდით!

### III

ლენინის სიბრძნე  
გვინათებდა სისხლიან სავალს,  
ხალხი ლომს გავდა,



ტოცა ბორგავს ფაფარაყრილი.  
ჩვენი სამშობლოს  
სადიდებლად და დასაცავად  
იყო ვაჟკაცია —  
რკინება და გადაძახილი.

და გამოვჭედეთ...  
ძვირი დაჭდა ეს გამარჯვება.  
ამ წმიდა ომში  
დაიღუპა მებრძოლი ბევრი.  
მსხვერპლი გაიღეს მოხუცებმა,  
თოთო ბავშვებმაც...  
ნახე ციფრები  
ყველა მთქმელზე უხმო და მჭევრი.

შენ არ იცოდი —  
რას გვიქადდა იმ წლის ივნისი,  
ვერმახტის მარში —  
თამამი და თითქოს უღლელი.  
შენ არ იცოდი —  
ბეღნიერი ჩემი შვილისთვის  
შენს შვილს მოჰქონდა  
სამარცხვინო მონის უღელი!...

შვილი დავკარგე:  
დაკარგულად მაინც არ ითქმის.  
შენც დაკარგე და  
ამას სწორედ დაკარგვა ქვია:



## ჩემ შვილს

ქვეყანა  
კომუნიზმის მშენებლად ითვლის,  
შენ კი მოტყუვდი...  
და ამასაც ტყობილობ გვიან!

ახლა რას ფიქრობ?  
გულლიად ვთქვათ,  
ნუთუ არ ქმარა,  
ხალხი რომ გაწყდა,  
ყანები და ბაღები მოხმა!  
ზღვებს შეადგენდა  
რაც ქვეყანამ სისხლი დაღვარა,  
მიწას გახეთქდა  
შვილმოქლულთა ცრემლი და ოხვრა!  
და თუ ვერ დავძლევთ  
დამპყრობელთა ველურ ადათებს,  
თუ ყველა ხალხი  
ომს არ დაგმობს მის სამშობლოში,  
თუ მშვიდობის და ძმობის დროშა  
ვეღარ აღვმართეთ, —  
კაცობრიობა  
მუდამ ივლის ომიდან ომში.

ისევ და ისევ გაჩაღდება  
ომის ხანძარი.  
დაღუპულ შვილებს  
დაიდარდებს საბრალო დედა,

ომს კვლავ შოჰყვება  
 სისხლის ტბორი და ნიაღვარი,  
 თუმცა ზავი და  
 ნიურნბერგიც გამეორდება.  
 მაგრამ, ის არ ჭობს,  
 წინდაწინვე ყველამ იცოდეს,  
 რომ ხალხის სისხლი  
 დაუსჯელად არვის ჩაუვლის.  
 უქვე დროა და  
 უნდა ახდეს ხალხთა ოცნება —  
 მოისპოს ომი —  
 ეს მხეცური დანაშაული!

კმარა!  
 ერთმანეთს  
 სამეგობროდ ჩაგჭიდოთ ხელი,  
 ყური დაუგდე —  
 ცრემლიანი ღალადი ისმის:  
 — დაე, დასრულდეს!  
 დაე, იყოს უკანასკნელი  
 ჩვენი შვილების  
 ნათელი და უმანქო სისხლი!

## ს ა რ ჩ ე პ ი

მადლობა	3
ი ვ ი თ ი ნ ი ნ ი ლ ე ნ ი ნ ი	5
სამშობლოს	6
ჩემი საფრცარი	7
აჭარის მთებს	9
მე არ მოვკვდები	11
ს მ ა ი ს ი ა	13
თბილისის დილა	15
მიწა და ადამიანი	16
ტვალის იმედი	17
ბრვიდობის წლები	19
ბაჯალლო დღე	20
კომკავშირს	21
აღმაფრენა	23
მთაწმინდაზე	24
ლამით სამგორში	26
კედლის საათთან	28
ქარი	30
ქართველ პოეტებს	31
ჩემი ქალაქის ლილა	32
ჩვენი მილიცია	34
თურმე პირიქით	35
ქობულეთი	36
სკოლაში გაცილება	37

კოლხიდმშენი	40
ჩემი ბათუმი	41
შემოქმედება	43
მასწ. მარო ლოლუას	44
სიმღერა ჩაის მყრეფავზე	46
მე და მერცხალი	47
სად გოგმანობა?	49
დილით	50
ჩემს სოფელში	51
დუმილი	52
სათევზიაში	53
მიწის სურნელი	55
ჩემს ლექსებს	57
მერისში	58
მთაზე	59
მესაზღვრის სიტყვა	61
თბილისი-სამგორი	63
ცისარტყყელა	65
დედა	66
ქარიანი ღამე	68
ნარიანჯები	69
ბავშვის ხმა	70
ჩემი სოფელი ძამბარი	72
ღამე პლანტაციაში	73
ტბეთის გზაზე	74
ზამთარი	75
ამღერებული აჭარა	77
ბათუმიდან თბილისამდე	80
ჟუშკინის სურათთან	82
ვაჟას	84
გალაკტიონის გარდაცვალებაზე	85
გიორგი ლეონიძეს	88
გიორგი ჭუჩიშვილს	



კოტე მარგანიშვილს	90
ილია სიხარულიძეს	91
აქაცის ძეგლი ქობულეთში	93
გარსევან ჭავჭავაძე	95
მოდიან, შვილო, ჯარისკაცები	96
გმირი მფრინავი	102
სიმღერა	104
„მზეს არ ახსოვს“	106
ეკვდავი ძმობა ჩვენი	108
ჩვენ, სამი ძმა ლესელი	110
უკანასკნელი ბარათი	111
ცხრა მაისი	113
კმარა	115



Нестор Малазония

## Стихи

(На грузинском языке)

Издательство „Литература да Хеловнеба“  
Плеханова, 179  
19 Тбилиси 64

10

ନେତ୍ରବ୍ୟକ୍ତିଗାରଣୀ ଅଳ୍ପ. ୧୯୧୩ ମେ ୧

ଗାମରିତ୍ର. ରେଡାକ୍ଟରିନ୍ରୀ ଡ. ଜୋନାବା  
ମୋର୍ଗାରି ର. ଗୁପ୍ତିଲ୍ଲା  
ମୋର୍ଗାରି ରେଡାକ୍ଟରିନ୍ରୀ ଡାକ୍ ଜାନାଶ୍ଵିଲ୍ଲ  
ରେଡାକ୍ଟରିନ୍ରୀ ଡାକ୍ ମହିନୀ  
କୁର୍ରାକ୍ଟରିନ୍ରୀ ଡାକ୍ ସିବାର୍ଜିନ୍ଦ୍ର

\* \* \*

ხელმოწერილია დასაბეჭდად 19/XI, 1964 წ.  
ქაღალდის ზომა 70X108 1/32  
ნაბეჭდი თაბაზი 8  
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბაზი 3,25  
უე 12565, ტირაჟი 2000, შეკ. № 353

Digitized by srujanika@gmail.com

米

სტამბა № 3, თბილისი, პლეხანოვის, 181  
Типография № 3, Тбилиси, Плеханова, 181



საქართველოს  
ეროვნული ბიблиოთეკი

